ხელშეკრულება№8

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(საქონლის შესყიდვა)

ჭელას საჯარო სკოლა

10 მარტი *2016 წელი*

ერთიმხრივ ჭელას საჯარო სკოლა,საიდენტიფიკაციო კოდი 222728092 ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22 ანგარიშის №GE84LB0121114966309000 იურიდიული მისამართი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭელა წარმოდგენილი დირექტორი გია ჩიხრაძე, შემდგომში წოდებული როგორც ,,**შემსყიდველი**" და მეორეს მხრივ, შპს ,,პაპირონი"საიდენტიფიკაციო ნომერი 224092568, სს ,,ლიბერთი ბანკი"ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ანგარიშის №GE36LB0113152012617000 მისამართი ქ. ახალციხემანველიშვილის ქ 23 წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ გოგოლაძის სახით შემდგომში წოდებული, როგორც ,,**მიმწოდებელი**",ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და ვთანხმდებით რა ყველა არსებით პირობებზე , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ჭელას საჯარო სკოლისათვის გამოყოფილი სახსრებით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მისი მოქმედების მანძილზე, შესყიდვის განხორციელება ერთ პირთან მოლაპარაკების წესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სესაბამისად.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1 CPV კოდი- 22800000:22851000 -14,60ლარი,

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 14,60(თოთხმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ფასი).

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. ,,**მიმწოდებელი**" იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ,,**შემსყიდველის**"მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. ,, მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას განსაზღვროს მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის პერიოდი (საგარანტიო პერიოდი)

4.3. საგარანტიო ვადა განისაზღვრება დირექტორის მიერ საგარანტიო შემთხვევის დადგომის პერიოდისათვის, მიმწოდებელი იღებს საგარანტიო ვალდებულებების შესრულების ვალდებულებას.

5 .შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება ,,შემსყიდველი"-ს მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 20 მარტის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია სოფელი ჭელა

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პარალელურად , ,,მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო აგარიშ-ფაქტურა).

6.შესყიდვის ობიექტის მიღება- ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მირება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება ,,შემსყიდველის"მიერ მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ან წინასწარ მხარეთა შორის შეთანხმებულ დოკუმენტზე შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის შემდეგ.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (მისი ნაწილი/ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან დანაკლისის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ,,მიმწოდებელი" .

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველისმიერ მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ .არაუმეტეს 10(ა თი) კალენდარული დღის ვადაში,

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ,,**შემსყიდველს**" უფლება აქვს:

- შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

-განახორციელოს ტექნიკური კონტროლი (ინსპექტირება)და/ან გამოსცადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი,რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

8.2. ,,**შემსყიდველი**"ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად;

-უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის და მასთან დაკავშირებული ყველა საბუთის მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაშიდა წესით;

8.3. ,, **მიმწოდებელს**"უფლება აქვს :

-მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. ,,**მიმწოდებელი**" ვალდებულია :

-მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

-საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა .

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდნ გასვლა ვალდებულების გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია , საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შმთხვევაში , დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ,რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.5. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავსირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხლისმოწერის დღიდან 2016 წლის 20 აპრილამდე

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე ,თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები

აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე .

12.3 . მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე .

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არცერთ მხარეს არააქვს უფლება გადსცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები , მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:
ჭელას საჯარო სკოლა

ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭელა
ს/კ 222728092 ა/ნ № GE84LB0121114966309000
საბანკო რეკვიზიტები LBRTGE22
ჭელას საჯარო სკოლის დირექტორი:

გია ჩიხრაძე ----------

10 მარტი 2016 წელი

მიმწოდებლის სახელით:
შპს ,,პაპირონი"
ქ.ახალციხე მანველიშვილის ქ N 23
ს/ნ 224092568
ა/ნ № GE36LB0113152012617000
საბანკო რეკვიზიტები LBRTGE22
დირექტორი:

თეიმურაზ გოგოლაძე ----------

10 მარტი 2016 წელი